ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

რა უნდა გავაკეთოთ, რომ ქართულმა დემოკრატიამ იმუშავოს? დისკუსია

ევროპული ფონდის აღმასრულებელი დირექტორის **იერჟი პომიანოვსკის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით ილიას უნივერსიტეტი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა გიწვევთ დისკუსიაზე ილიას უნივერსიტეტში**

16 ოქტომბერს 5 საათზე

დისკუსია შეეხება დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს და ისეთ საკითხებს, როგორიცაა

- **კანონიერი წარმომადგენლობა:** როგორ ახერხებენ პოლიტიკური პარტიები პირადი სიმპატიების, კოლექტიური ინტერესებისა და იდეოლოგიის შეთავსებას?
- **როგორ დავიცვათ ბალანსი უმრავლესობის მმართველობასა და უმცირესობების უფლებებს შორის:** დემოკრატიის პირობებში გადაწყვეტილებას უმრავლესობა იღებს, მაგრამ სად არის ამ ძალაუფლების საზღვარი ინდივიდის თუ უმცირესობის წარმომადგენლებთან მიმართებაში?
- **ინსტიტუტები და საერთო სიკეთე:** დემოკრატიაში მნიშვნელოვანია პროცესი და კომპრომისი, როდესაც მიღებული შედეგი არავისთვისაა იდეალური, მაგრამ ყველასთვის მისაღებია. როგორ შენდება სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტები, რომელიც საერთო სიკეთეს ემსახურება.

დისკუსიაში მონაწილეები ამ და სხვა საკითხებზე ისაუბრებენ და განიხილავენ სიტუაციას საქართველოში. მოხდება საქართველოს გამოცდილების შედარება პოლონეთთან, რომელმაც, საქართველოს მსგავსად, კომუნისტური სისტემის რღვევის შემდეგ რადიკალური ტრანფორმაცია განიცადა და შეძლო სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზით.

იერჟი პომიანოვსკი დემოკრატიის ევროპული ფონდის დირექტორია. ის იყო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სამინისტროს გენერალური დირექტორი დემოკრატიზაციის და განვითარების საკითხებში. სტუდენტობაში იყო დემოკრატიული ოპოზიციის აქტიური წევრი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოლივერ რაისნერს (მოდერატორი) აქვს გიოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში. ის იყო ჰუმბოლტის პროგრამის ცენტრალური აზიის/კავკასიის პროგრამის კოორდინატორი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროექტის მენეჯერი საქარველოში; დღეს ის პროექტის მენეჯერია ევროკავშირის წარმომადგენლობაში და აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას.

ვაჟა სალამაძე ,,სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ დამფუძნებელია. მას აქვს საჯარო სექტორში მუშაობის 26 წლიანი გამოცდილება, საიდანაც 18 წელი მიუძღვნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებასა და მათი ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. ის ასწავლის პოლიტიკის ანალიზს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში.